ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №114

2013 წლის 23 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

აკადემიური საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ

2013 წლის 16 სექტემბრიდან ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი რეორგანიზებული იქნა 4 ფაკულტეტად (განათლების ფაკულტეტად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტად და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტად). იმის გათვალისწინებით, რომ შოთა მამულაძე და ვარდო ბერიძე არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, არ დადგა ამ ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოში წარმომადგენელთა არჩევის საჭიროება. განათლების ფაკულტეტიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოში წარმომადგენლების არჩევის მიზნით გამოცხადდა და ჩატარდა არჩევნები. არჩევნების შედეგად კი მხოლოდ განათლების ფაკულტეტიდან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან არჩეული იქნა წარმომადგენლები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, საარჩევნო კომისიის მდივნის, გიორგი დიასამიძის მოხსენებითი ბარათისა და ბსუ–ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობილი იქნას განათლების ფაკულტეტიდან არჩეული პროფესორ გული შერვაშიძის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან არჩეული პროფესორ დავით ბარათაშვილის, როგორც ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილება 2014 წლის 14 ნოემბრამდე;

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**